



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი

31. 05. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გია ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ამირან გიგინეიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

8. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის წერილის საფუძველზე ცნობილი უნდა იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის თორნიკე ტიკაძის ადგილმონაცვლის, ამავე პარტიული სიით წარდგენილი რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატის, ვენე კვირკველიას უფლებამოსილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მიულოცა ვენე კვირკველიას და უსურვა შემდგომი წარმატებები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 29 (31.05.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ იცვლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის მისამართი, კერძოდ, იყო WWW.lanchkhuti.org.ge და ახლა იქნება WWW.lanchkhuti.gov.ge. შესაბამისად, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების (ვებგვერდი 11/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016351) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ უნდა იქნას შემდეგი სახის ცვლილებები, რომლების შეეხება 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტს, მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტს, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტს, 111-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებს. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ რადგან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება, აქედან გამომდინარე შეიძლება წარმოების პროცესში განხორციელდეს კიდევ სხვა ცვლილებებიც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N30 (31.05.2019)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების

მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N31 (31.05.2019)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N773 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 110000 ლარი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციისათვის.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე**.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N789 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 499402 ლარი, თანადაფინანსება შეადგენს 37591 ლარს. სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 536993 ლარს, რომელიც მიიმართება ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში შესული ცვლილებები (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N556 განკარგულება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის N835 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის N982 განკარგულება) გამოიყო ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხებისათვის 895754 ლარი, მამათის, ჩიბათის, მაჩხვარეთის, აცანის, შუხუთის, ღრმაღელის, გვიმბალაურის, ჩოჩხათის, და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოწყობაზე 957874 ლარი და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის 1036231 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 მაისის N1063 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად დარჩენილი ეკონომიიდან 52795 ლარი მიიმართოს სოფელ გვიმბალაურში საჭიდაო

დარბაზის სახურავისა და გარე ფასადის შეკეთებაზე და 22438 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის დასაფინანსებლად, სულ 75233 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფაზე მიმართოს 248401 ლარი. (სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე)

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის 16 აპრილის N633 წერილის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილია გაიზარდოს განათლების ღონისძიებების (პროგრამული კოდი 0403) ხარჯი 1600 ლარით.

ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანას (წერილის საფუძველზე) დამატებით გამოეყოს 500 ლარი.

ზემოთ აღნიშნული ადგილობრივი ბიუჯეტით გასაწევი ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის (ორგ.კოდი 01 02 02) 39691 ლარის შემცირების ხარჯზე.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრის მიმდინარე წლის 18 აპრილის N97 წერილის განხილვის შედეგად დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს შრომის ანაზღაურების მუხლის 56000 ლარის შემცირება და შესაბამისად გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ხარჯი 56000 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის 22000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 22000 ლარით.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე გამოტანილი იქნა განკარგულება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრიდან საფეხბურთო სკოლის გამოყოფასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა მოხსენებითი ბარათი, რათა მოხდეს დაფინანსების გაყოფა. მას ხელს აწერს როგორც ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი გოჩა ლომაძე, ასევე საფეხბურთო სკოლის „გურია“-ს დირექტორი თეიმურაზ ალექსაია. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებიდან საფეხბურთო სკოლა „გურია“-სთვის დაფინანსების გადაცემის შესახებ. კერძოდ, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის ბიუჯეტში დარჩენილი ასიგნებიდან საფეხბურთო სკოლას გადაეცემა 2019 წლის 1 ივნისის მდგომარეობით 144 200 ლარი, ხოლო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს დაფინანსება დარჩება 455 800 ლარი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძემ** შეკითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, რომ საფეხბურთო სკოლის მიერ მოთხოვნა შემოტანილი იყო 177 000 ლარით დაფინანსებაზე.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, როცა საკრებულოს სხდომაზე წამოვიდა ინიციატივა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული

ცენტრის გაყოფის შესახებ, მაშინ გაჟღერდა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური ჩართულიყო თანხების გაყოფაში. ამ ეტაპისთვის აღნიშნულმა ა(ა)იპ-იმ დაიწყო ფუნქციონირება, ხოლო უახლესი დღეებში საკრებულოს საფინანსო კომისია უნდა ჩაერთოს ამ პროცესში, რათა დაზუსტდეს თუ რომელ ა(ა)იპ-ს რა დაფინანსება მიეცეს.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ იყო საუბარი რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფის თაობაზე. მაშინ იქტევა, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან ანუ ივნისის თვის შემდგომ მოიძიებოდა და განიხილებოდა ეს თანხა. საკითხთან მიმართებაში ჩართულები არიან ასევე სოციალური მომსახურების სააგენტო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ეს ბავშვები ვერ გადაიან აღნიშნულ პროგრამას, იმის გამო, რომ ვერ ახდენენ ტრანსპორტირებას. ამასთან დაკავშირებით, შშმ ბავშვების მშობლები შეხვდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, გიორგი ფაცურიას, რადგან მუნიციპალიტეტის მერი იმ დროისთვის არ იმყოფებოდა ადგილზე. შეხვედრას ასევე ესწრებოდა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი. შეთანხმდნენ, რომ ტრანსპორტის ხარჯი გამოიყოფოდა ინდივიდუალურად, იმის მიხედვით, თუ ვინ სად ღებულობს ამ მომსახურებას, რადგან ზოგი დადის ჩაქვში, ზოგიც კი ბათუმსა და ქუთაისში ანუ უშუალოდ ერთ ადგილას არ ხდება ამ ბავშვების გადაადგილება. იმის გამო, რომ მათი ტრანსპორტირება ძალიან ძვირადღირებულია, ამიტომ ეს ბავშვები ვერ სარგებლობენ აღნიშნული პროგრამით. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მოხდეს ამ საკითხის გათვლისწინება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აღნიშნულ სიტუაციაში, როგორც მისთვისაა ცნობილი, ჩართულია ორი არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ ესაჭიროებოდათ მხარდაჭერის წერილი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადაგზავნილ იქნა ასეთი წერილი, სადაც აღუთქვეს, რომ ერთობლივად და ურთიერთთანამშრომლობით განახორციელებენ ამ მომსახურებას. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წელს ამ კუთხით გამოიყოფოდა რაიმე თანხები, არ ყოფილა საუბარი, ამიტომ ამ საკითხს დაჭირდება დაზუსტება ბოლომდე.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ შშმ ბავშვების მშობლებს მიეცათ მითითებები, რათა მათ წარმოადგინონ გატარებული კურსის მოწმობა, რის შემდეგაც ალბათ განისაზღვრებოდა ტრანსპორტის ღირებულება.

მუნიციპალიტეტის მერმა შესთავაზა საკრებულოს წევრს, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსთან, თამარ ფირცხალაიშვილთან ერთად გაარკვიონ ეს საკითხი.

საკრებულოს წევრი, **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა, ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რატომ არაა მითითებული პროექტში, რომელ ქუჩებზეა საუბარი, თუ ჯერ არ არის შერჩეული ქუჩები,

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ სამუშაო დაწყებულია. საკითხთან დაკავშირებით, თანხების დამტკიცებისას წინა პერიოდშიც და ახლაც, ქუჩები მითითებული იყო. ამასთან, 536993 ლარი თანადაფინანსებასთან ერთად არის სტიქიის

პრევენცია, ხოლო რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხა ადგილობრივ დაფინანსებასთან ერთად შეადგენს დაახლოებით 900 000 ლარს. საერთო ჯამში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციოდ მიიმართება დაახლოებით მლნ. ნახევრამდე ლარი.

საკრებულოს წევრი, **დავით ჩხარტიშვილი** დაინტერესდა, როდის მოხდება დანარჩენი ამბულატორიების რეაბილიტაცია, რომლებიც არ არის ჩამონათვალში.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს თხოვენ მხოლოდ სიას იმ ამბულატორიებისა, თუ რომელია ასაშენებელი და ან საჭიროებს რემონტს, რის შემდეგაც საგანგებო სიტუაციების სამსახური თვითონ ღებულობს გადაწყვეტილებას, სად, რომელი ამბულატორია გაკეთდეს. 2021 წელს უნდა დამთავრდეს ყველა ამბულატორიის აშენება და გარემონტება. თანხა 185 809 ლარის ოდენობით უკვე ჩამორიცხულია. აღნიშნული თანხიდან მიმდინარე წელს ოთხი გარემონტდება, ხოლო სუფსაში აშენდება ერთი ახალი ამბულატორია. ამასთან დაკავშირებით, ტენდერზე ნებართვა მიღებულია და გამოცხადებულია.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, გაეცნო ამ მიზნით გამოყოფილ თანხებს. მან კოლეგებს ბოდიში მოუხადა, მაგრამ დაინტერესდა -რა უნდა გაკეთდეს 20529 ლარით აკეთის ან 21 853 ლარით შუხუთის საექიმო უბნებში.მას ამ თემასთან დაკავშირებით დაუსრულებლად ექნება შეკითხვები.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თითო ამბულატორიაზე თავიდან უნდა ყოფილიყო 20 000 ლარი, შემდეგ შეიცვალა გადაწყვეტილება და ეს თანხა განისაზღვრა დაახლოებით 26 000 ლარით, მაგრამ პროექტების მომზადებისას ჩაიდო ის თანხები, რაც რეალურად ჭირდებოდა თითოეულს შესაკეთებლად. შესაბამისად, ფინანსებიც იმის მიხედვით გამოიყო. სუფსაში ამბულატორიის მშენებლობისთვის ფიქრობდნენ 65000 ლარს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საჭიროა 81000 ლარამდე.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სუფსაში ამბულატორიის მშენებლობასთან დაკავშირებით შეკითხვები არ აქვს, მაგრამ აკეთში საექიმო პუნქტი ახალი გაკეთებულია. მას აინტერესებს, შეუძლია თუ არა კონკრეტული პროექტის ნახვა. საკრებულოს წევრის თქმით, საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან იყო დაპირება, რომ შეიქმნებოდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ კითხვაზე გაცემდა პასუხს. მისთვის ცნობილია, რაც მოხდა ანუ მათგან დაუკითხავად შეიყვანეს ეს სოფლები ჩამონათვალში. საკრებულოს წევრს მიაჩნია, რომ არასწორად მოხდა დაგეგმვა საექიმო უბნებთან მიმართებაში, რეკონსტრუქცია იქნება ეს თუ მშენებლობა და ამ თემასთან დაკავშირებით სულ ექნება შეკითხვები, რადგან ისინი დეპუტატები არიან და თავიანთ ამომრჩევლებს უნდა გაცენ პასუხი.

საკრებულოს წევრი, **დავით ჩხარტიშვილი** დაეთანხმა კოლეგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N789 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა სტიქიის პრევენციისთვის თუკია განკუთვნილი, მაშინ რატომ შედის მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებაში ან რა შუაშია სტიქიასთან თანადაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გარდა, წინა წლის ბოლოს შეიქმნა ახალი პროგრამა, როგორცაა სტიქიის პრევენციის ღონისძიება, რომელიც ძირითადად მიმართული იყო სანიაღვრე არხებზე. ამ მიზნით, ნახევარ მილიონ ლარამდე გამოეყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ხოლო 100 000 ლარია ოზურგეთის და 180 000 ლარია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, საუბარია მოსალოდნელ სტიქიაზე. სწორედ ესაა პრევენცია, რომ არ მოხდეს სტიქიის შედეგად მოსახლეობის დატბორვა.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **აკაკი იმნაიშვილი**.

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის, **კახაბერ ასკურავას** თქმით, არავინ არ იცის მოსალოდნელი სტიქია რა დონის იქნება და როგორ ზიანს მიაყენებს მოსახლეობას. მისი აზრით, ტერმინი „სტიქიის პრევენცია“ იმიტომაც მოწოდებული, რომ შესყიდვა გამარტივდეს და სასურველ პიროვნებებს მოერგოს სასურველი თანხები.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ არანაირი გამარტივება არ იქნება. ჩატარდა ჩვეულებრივი ტენდერი და ოფიციალური ელექტრონული აუქციონი განხორციელდება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N9 (31.05.2019)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყეაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წელს, სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-ს (ს/კ 205309637) წარმომადგენელმა ელგუჯა ჩხაიძემ მომართა განცხადებით სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-სთვის (ს/ნ 205309637) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანias ქ. N80-ში მდებარე, 1078 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 234.67 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, (ს/კ 27.06.52.066)) გადაცემის თაობაზე. მან ასევე განმარტა, რომ საკითხი შეეხება დროებით სარგებლობას და ვადას ვერ განსაზღვრავენ, რადგან საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“ შენობას დატოვებს.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს, რომ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“ შენობას დატოვებს ანუ ვადა არ უნდა იყოს მითითებული.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ პროექტის მიხედვით ნებისმიერ დროს საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება შენობის დაბრუნება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N32 (31.05.2019)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს წევრმა, დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, **ამირან გიგინეიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ ერთი შეხვედრა უკვე შედგა, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მის მიმდინარეობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ჯგუფის, ასევე მოწვეული წევრები და მათ ამისთვის მადლობა გადაუხადა. წინ კიდევ ელოდებათ რამდენიმე შეხვედრა, რომელზეც საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდნენ, თუ სად და როგორ გაკეთდეს ამ ძალიან მნიშვნელოვან დასახლებაში. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა ღრმალელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კახა თედორაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ ვინმეს სურვილი ხომ არ ექნებოდა დროებით სამუშაო ჯგუფში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N33 (31.05.2019)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში შევიდა ცვლილება. მიმდინარე წლის 24 მაისს N1231 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 185809 ლარი. აქედან: აკეთის ამბულატორიის რეაბილიტაცია 20529 ლარი, აცანის ამბულატორიის რეაბილიტაცია 20529 ლარი, შუხუთის ამბულატორიის რეაბილიტაცია 21853 ლარი, ნიგოთის ამბულატორიის რეაბილიტაცია 28041 ლარი, სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობის ტერიტორიის მომზადება 11430 ლარი, სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობა 81828 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით დაიწყო ბიუჯეტში ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N34 (31.05.2019)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა, **ამირან ქანთარია** წარმოადგინა საკრებულოს წევრობის დამადასტურებელი ორი დოკუმენტი. ერთი დამზადებულია 2001 წელს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელია გასული, მაინც ძალიან კარგი ხარისხისაა. 2017 წელს საკრებულოს წევრებს დაურიგეს მანდატი, რომელსაც უკვე ვადა გაუვიდა და ხარისხითაც ძალიან ჩამოუვარდება წინანდელ დოკუმენტს. დეპუტატის თქმით, ქვეყანა ვითარდება, ტექნოლოგიები გაუმჯობესდა და წინ მიდის. ყოველივე ამის ფონზე ნუთუ ასე რთულია, რომ საკრებულოს წევრს ქონდეს ნორმალური ხარისხის მანდატი?

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს უნდა შეეხმიანონ და მიაწვდინონ ხმა იმასთან

დაკავშირებით, რომ ამდენი ხანია საგზაო აზრზე სოფელ „ჯურუყვეთი“-ს მაგიერ აწერია „ჯურუყვეთი“.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან იყო საუბარი ორ გზასთან დაკავშირებით. ერთი არის აცანა-მამათი-ძიმითის გზის მონაკვეთი და მეორე - ნინოშვილის დამაკავშირებელი გზა. საუბარი შეეხებოდა საგზაო ნიშნებს და ასევე მძიმეწონიან მანქანებს, თუ რამდენტონიანი ავტომობილი შეუძლია გაატაროს აღნიშნულმა გზამ. შესაბამისად, მიაწოდებენ ამ ინფორმაციასაც, რათა წარწერა გამოცვალონ.

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ სიცხეების დადგომასთან ერთად თანდათან აქტიურდება აზიური ფაროსანა. მისი თქმით, მსგავსი უყურადღებობა, რაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშია ამ საკითხთან მიმართებაში, სხვაგან არ არის. მით უმეტეს, რომ მეზობელ მუნიციპალიტეტში ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარეს აზრით, ეს თემა სახუმარო ნამდვილად არ არის და ძალიან სერიოზული მიდგომა ჭირდება.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ერთ რამეში ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში თვალი არ უნდა დახუჭონ და აუცილებელია შეწამვლითი სამუშაოების მაქსიმალურად გატარება, რათა პრობლემა საბოლოოდ მოგვარდეს. ამ ეტაპისთვის ფაროსანას რაოდენობა ნამდვილად შემცირებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მოადუნონ. ამ ეტაპისთვის, მუნიციპალიტეტში ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს. ხორციელდება წერტილოვანი შეწამვლა, ხოლო ისეთ უბნებში, სადაც ასეთი სახის სამუშაოები ვერ ხერხდება, ხდება თერმული ნისლით დამუშავება. ის პირადად ესწრებოდა წერტილოვანი შეწამვლით ღონისძიებას, რომელიც სოფელ ნიგოთიდან დაიწყო. გარდა ამისა, ყველგან დამონტაჟებულია „მოიზიდე და მოკალი“. ასევე, გურიის რეგიონში ჩამოვიდა ტრაქტორები, რომლებიც შეწამვლით სამუშაოებს განახორციელებენ საყანე ფართობებში. ამათაგან, ათი ტრაქტორი მოემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს. წერტილოვანი შეწამვლა ხდება ყველგან. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის ყველა წარმომადგენელს დაევალა, რომ თუ რომელ სოფელშიც ითხოვენ თერმული ნისლით შეწამვლას, დაწერონ ამასთან დაკავშირებით განცხადება, რადგან ძალიან ბევრ სოფელში მოსახლეობის მხრიდან წამოვიდა საყვედური, რომ ამ გზით შეწამვლამ დააღპო ხეხილი, გაახმო მცენარეები და გაანადგურა ბოსტანი.

საკრებულოს წევრმა, **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ არის გურიის გუბერნატორის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ესწრებოდა სწორედ ამ თამასთან დაკავშირებულ საუბარს. მისი თქმით, ამ მიმართულებით თანხები გაზრდილია. მოწესრიგებულია შეწამვლის პროცესი. ასევე, შექმნილია მუშა ჯგუფები. სოფლებთან შედარებით, ქალაქში, აზიური ფაროსანას რაოდენობა გაცილებით შემცირებულია, ამიტომ ეს თანხები ძირითადად გადანაწილდება სოფლებში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად ჩასატარებელ ღონისძიებებზე.

საკრებულოს წევრის **დავით ჩხარტიშვილის** აზრით, აზიური ფაროსანას რაოდენობა უდავოდ შემცირებულია, მაგრამ გატარებული ღონისძიებების რეალური შედეგი გამოჩნდება შემოდგომით, როცა მავნებელი იწყებს სახლებში შემოსვლას. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ დაიწყო თხილის გადარჩენის პროგრამა. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა სოფლებში მერის წარმომადგენლებთან ერთად ჩაატარეს

მოსამზადებელი სამუშაოები. ადამიანები დაყვეს ბრიგადებად და სხვა. უნდა ჩამოსულიყო 11 შესაწამლი აპარატი, მაგრამ ჩამოვიდა მხოლოდ სამი. გარდა ამისა, მოსახლეობას დიდი იმედი ქონდა, რომ მათ, ვისაც ფინანსურად არ შეეძლო ძვირადღირებული წამლების შეძენა, ბანკები გაუწევდნენ დახმარებას, მაგრამ მოსახლეობის მხოლოდ 10 % -ს გაუკეთეს განვადება. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრს მიაჩნია, რომ თხილის გადარჩენის პროგრამა პრაქტიკულად ჩავარდა. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თუ შეუძლია რაიმე დამამხმარებელი განმარტების გაკეთება.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, იყო საუბრები იმის შესახებ, რომ თხილის გადარჩენის პროგრამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ჩართავდა კერძო კომპანიას, რომელიც მოსახლეობას გაუწევდა კონსულტაციებს და ექნებოდა მათთან ურთიერთობა, თუნდაც აპარატების გადაცემასთან დაკავშირებით. როგორც მუნიციპალიტეტის მერისთვისაა ცნობილი, ამ კომპანიებისთვის მიწოდებულია ინფორმაცია და ისინი თვითონ ანაწილებენ აპარატებს. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ასევე იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაგალითად, მაინცდამაინც აპარატი კი არ გადაეცემოდა მოქალაქეებს, არამედ შეუძენდნენ იმ მედიკამენტს და წამლებს, რაც ჭირდებოდა შეწამვლას. რაც შეეხება კონსულტაციას, სოფლებში კონსულტანტები აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ და რა წამლებით უნდა შეიწამლოს. სოფლები დაყოფილია ზონებად, სადაც ასევე წარმომადგენლები ეწევიან ამ კუთხით აგიტაციას, მოსახლეობის ინფორმირებას და ამის მიხედვით ხდება შემდგომი ღონისძიებების გატარება.

საკრებულოს წევრს **დავით ჩხარტიშვილის** მიაჩნია, რომ ასეთი მიდგომა პრობლემის სრულფასოვნად გადასაჭრელად ნამდვილად არ არის საკმარისი. თუკი მხოლოდ კონსულტაციის დონეზე იქნება მათი ჩართულობა და აპარატებს, შესაწამლ მედიკამენტს არ შემოიტანენ, მაშინ ასეთი სახის კონსულტაციის გაწევა ჩვეულებრივად, მასმედიის საშუალებითაც შეიძლება.

საკრებულოს წევრის **ირაკლი მარშანიშვილის** თქმით, დეკემბრის თვეში ჩოჩხათში ჩატარდა ტრენინგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ პირველ შეხვედრაზე საერთოდ არ ყოფილა ბანკთან ურთიერთობაზე საუბარი. მეორე შეხვედრისას აღმოჩნდა, რომ პიროვნება, ვინც ტრენინგი ჩაატარა, საერთოდ გაუშვიათ სამსახურიდან. ის დაეთანხმა საკრებულოს წევრს, დავით ჩხარტიშვილს და აღნიშნა, რომ ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის საშუალებითაც შეიძლება. გარდა ამისა, გასულ წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დარიგებული ბუკლეტების შესაბამისად ვინც განახორციელა შეწამვლა, გაცილებით ცუდი შედეგი მიიღო. საკრებულოს წევრის თქმით, თერმული ნისლით შეწამვლას სოფლების უმრავლესობა არ დაეთანხმება, რადგან ვაზი, ფუტკარი და ბევრი სხვა რამ, გაანადგურა. საკრებულოს წევრის აზრით, რადგან ყველაფერ ზემოთქმულ ღონისძიებებს ჭირდება საკმაო თანხები, უფრო იაფიც დაჯდება და შედეგიც გაცილებით უკეთესი იქნება, თუკი მოსახლეობას დაურიგებენ წამალს. მით უმეტეს, რომ შარშანწინ დარიგებული შესაწამლი პრეპარატი „ისაკარი“ ძლიერი ნივთიერებაა, შესაბამისად, შედეგიც საკმაოდ კარგი აქვს. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ კარგი იქნება, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ამ ინიციატივით დროულად მიმართონ, რათა შეწამვლის პროცესმა სათანადო შედეგი გამოიღოს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის ჯგუფები, რომლებიც ახორციელებენ წერტილოვან შეწამვლას, დადიან და მოსახლეობას თხოვენ,

აჩვენონ ის ხეხილი, რომელიც უშუალოდ არის დაკბენილი და დაზიანებული. შესაბამისად, კონკრეტულ ადგილებზე ხდება წამლის დასხურება.

საკრებულოს წევრმა **კახა თედორაძე** აღნიშნა, რომ მართალია ენერგო პრო ჯორჯია დამოუკიდებელი კომპანიაა, მაგრამ ხომ უნდა იყოს რაღაც შეთანხმება, რომ გარე განათების მიერთება არ შეიძლება მაღალ ძაბვაზე. ამას თან ემატება სოფლის ხაზები. საკრებულოს წევრს აინტერესებს, ორმაგ სტანდარტთან ხომ არ აქვთ საქმე. გარდა ამისა, სოფლებში ჯერ კიდევ ძალიან ძველი ხის ელექტრო ბოძებია, რომლების უმეტესობა ელექტრო მავთულებს უჭირავს, ზოგს კი ხეები აქვს გამოყენებული. ამასთან, ასფალტის ქარხანასა და ქვის სამტრევ საამქროსთან გზის ორივე მხარეზე გაყოლებულია ელექტრობოძები და სხვა რამისთვის პრაქტიკულად ადგილი აღარ რჩება, რაც ქმნის გარკვეულ პრობლემებს. საკრებულოს წევრის თქმით, კომპანიის წარმომადგენლებს უნდა მიეწოდოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია და კარგი იქნება, თუ ამას რეალური შედეგი მოყვება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სრულიად შესაძლებელია კომპანია ენერგო პრო ჯორჯია-ს წარმომადგენლები მოწვეულ იქნან საკრებულოს სხდომაზე ან საკრებულოს ნებისმიერი კომისიის სხდომაზე, რათა დეტალუტარად მიეწოდოს აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია. რაც შეეხება ელექტრო ბოძების გადაადგილებას, მასაც ქონდა ანალოგიური შემთხვევა ჩოჩხატში. არაერთი წერილით მიმართვისა და სხვა ღონისძიებების შედეგად, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მოხერხდა ამ ბოძების რამდენიმე მეტრით, გზის პირას გადაადგილება. კომპანიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ, კონკრეტულ ადგილებზე ხდება ელექტრობოძების დადგმა და თუკი რაიმე ცვლილება გასაკეთებელი, ამას თავისი ნებით ვერავინ ვერ იზამს, არამედ სხვა კუთხით უნდა მიდგომა. სადაც კი ელექტრობოძებთან დაკავშირებით არის ასეთი მდგომარეობა. შესაძლოა დასურათდეს და მიეწოდოს კომპანიის წარმომადგენლებს, რათა შემდგომ მოხდეს სათანადო რეაგირება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ თავის დროზე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე მოწვეულები იყვნენ დასავლეთ რეგიონის ხელმძღვანელობა, რადგან მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ანალოგიური სიტუაციაა.

საკრებულოს წევრი **კახა თედორაძე** დაინტერესდა, რა ხდება წყალწმინდის საკითხის თაობაზე საკრებულოს წინა სხდომაზე დაანონსებული სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ ყურადღება მისაქცევია ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავების საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ურნები გრიგოლეთის ზოლზე დადგმულია. კარგი იქნება, თუკი ყველანი ჩაერთვებიან ამ პროცესში აქციის სახით, შემდეგ კი მოხდება სანაპირო ზოლის დასუფთავება შესაბამისი ტრანსპორტით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს, კახა თედორაძეს ელექტრო ბოძების მდგომარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნიგოითის თემშიც ანალოგიური სიტუაციაა. კერძოდ, 60 ერთეული ელექტრო ბოძი არის სავალალო მდგომარეობაში, თითქმის წაქცევაზე და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ამის დამადასტურებელი ფოტო მასალაც წარმოადგინოს. ამის შესახებ, შესაბამის ადამიანებს თავის დროზე მიაწოდა ინფორმაცია,

მაგრამ მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ მომხდარა. მისი აზრით, კარგი იქნება ამ ხალხთან შეხვედრა.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ კომპანია ენერგო პრო ჯორჯიას წარმომადგენლები უნდა მოიწვიონ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, რათა დეტალურად მოხდეს მათთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება და ერთობლივად განიხილონ აღნიშნული საკითხები.

საკრებულოს წევრმა, **ლელა ჩახვაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა ხელფასების გაცემის დროში გადაწევამ, რამაც სერიოზული ფინანსური თუ ყოფითი პრობლემები შეუქმნა დასაქმებულ ადამიანებს, რადგან მათ 70 %-ზე მეტს აქვს საბანკო ვალდებულებები და ძირითადად დამოკიდებულები არიან შრომით ანაზღაურებაზე. საკრებულოს წევრს აინტერესებს, რამ გამოიწვია ეს, როგორი მდგომარეობა იქნება ამ კუთხით მომდევნო თვეებში და შესაძლებელი იყო თუ არა შექმნილი სიტუაციის პრევენცია. საკრებულოს წევრის თქმით, საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა მოხსენებითი ბარათით, რადგან 30 წელია დასაქმებულია და არ ახსოვს, რომ მართლმადიდებლებისთვის ყველაზე დიდი დღესასწაულის, აღდგომის წინ დაგვიანებით დარიგებულიყო ხელფასები, პირიქით, ხდებოდა თანამშრომლების ფინანსური დაჯილდოება და სხვ.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ხელფასები დარიგდა თვის ბოლოს. მას ესმის, რომ დასაქმებულ ადამიანებს ხელფასებთან დაკავშირებით მოლოდინი ქონდათ, რადგან არის შემთხვევა, როცა თანხა ირიცხება სხვადასხვა რიცხვში, მაგრამ ხელფასი არავის დაგვიანებია და თანხის გაცემა მოხდა თვის შიგნით.

საკრებულოს წევრმა **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიორგი გვარჯალაძესთან ერთად იმყოფებოდნენ ქალაქის ცენტრში და ადგილზე ნახეს სანიაღვრე არხებთან დაკავშირებით შექმნილი სავალალო და ანტისანიტარიული მდგომარეობა. აღნიშნული პრობლემის შესახებ მოსახლეობის მხრიდან მომზადდა წერილი. საკრებულოს წევრს აინტერესებს, როდის და რა სახის რეაგირება განხორციელდება ამ კუთხით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ცენტრალურ გზასთან დაკავშირებით მიმართეს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. ჩამოსული იყო ხელმძღვანელობა, რომელთა მიერ მუნიციპალიტეტის მერთან და და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ადგილზე იქნა დათვალიერებული შექმნილი სიტუაცია. პროექტი უკვე გამზადებულია და უახლოეს დღეებში ისინი კვლავ ჩამოვლენ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერის თქმით, პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ კანალიზაციის მილების მიერთება, რასთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტი ჯარიმის გარდა, სხვა ღონისძიებას ფიზიკურად ვერ განახორციელებს, რადგან ძალიან ძვირადღირებული კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამორიცხულია. ოთხი ოჯახიდან იყო მოთხოვნა, რომ ისინი გაერთიანებულიყვნენ საკანალიზაციო სისტემაში. შეთანხმებაზე იყო საუბარი, გადაიგზავნა ხელმეორედ წერილი. თითო ოჯახის გაერთიანება ჯდება 1000 ლარი, რაც საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. ამიტომ, რაღაც საკითხები არის მოსაწესრიგებელი. საკითხის გარკვევა მიდის მოსახლეობასა და დამოუკიდებელ კერძო კომპანიას შორის. სავარაუდოდ, ეს საკითხი დაგერულირდება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, **გიორგი გვარჯალაძეს** მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტი თავისი ფუნქციიდან გამომდინარე გარკვეულ წილად უნდა ჩაერთოს საკითხის მოგვარებაში, რადგან მარტო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ამ პრობლემას ვერ გაუმკლავდება, მით უმეტეს, რომ მართლაც გაუსაძლისი მდგომარეობაა ამ სანიაღვრე არხებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა **კარლო კვიტაიშვილმა** ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე ფანტანში წყალი არათანაბრად ამოდის, რაც საკმაოდ ულამაზო შესახედია, მოიკითხა ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია შესაბამის სამსახურში და მათი განმარტებით, დაზიანებულია ძრავი, რომელიც არეგულირებს წყლის წნევას. გარდა ამისა, საკრებულოს წევრის თქმით, ქალაქის ცენტრში ადრე იდგა ჯვარი. შემდეგ იგი აიღეს და მის ადგილზე დადგეს საათი, რომელიც არ მუშაობს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა რეგიონალური ფონდის მიერ გასახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ჩამოვიდნენ დამპროექტებლები, რომელთაც ფეხდაფეხ დაყვებოდნენ ადგილობრივი წარმომადგენლები, აწვდიდნენ სათანადო და ამომწურავ ინფორმაციას, თუ სად, რა და როგორ საჭიროებდა გაკეთებას, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სრულიად საპირისპიროდ იყო ყველაფერი გაკეთებული. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თქმით, აცანის მოსახლეობა დაურჩა მოტყუებული, რადგან ერთ ოჯახთან კეთდება საკმაოდ ძვირადღირებული პროექტი, მაშინ როცა ათ და ოც ოჯახიანი უბნები საერთოდ არაა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ეს საკითხი ცნობილია მისთვის. თანხა ოთხი მიმართულებით უნდა ყოფილიყო გადანაწილებული, მაგრამ მხოლოდ ორ მიმართულებაზეა. დაბარებულია ეს ადამიანები, ჩამოვლენ და გაირკვევა, თუ როგორ შეიძლება დარეგულირდეს ეს საკითხი და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** მუნიციპალიტეტის მერს გადასცა სოფელ ლესის მოსახლეობის თხოვნა იმავე სოფლის მკვიდრი ახალგაზრდა კაცის, კახა ჯორბენაძის დასახმარებლად, რომელიც ავტოავარიის შედეგად იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში, საქველმოქმედო კონცერტის გამართვასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერი ერთხელ უკვე დაეხმარა ამ ოჯახს, მაგრამ მათ დღეში 500 ლარამდე ესაჭიროებათ ავადმყოფისთვის. ამასთან დაკავშირებით თხოვნით უკვე მიმართეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. სოფელი, თავის მხრივ, აქტიურად ჩაერთვება ამ აქციაში სხვადასხვა სკოლებთან ერთად.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მსგავსი საქველმოქმედო კონცერტი რამდენჯერმე ჩატარდა მუნიციპალიტეტში. მათი მხრიდან, რაც შესაძლებელია, ყველაფერს გააკეთებენ და თვითონაც, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, აუცილებლად ჩაერთვება ამ საქმეში.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ლესაში ძალიან ბევრი ქარისგან თუ სიძველისგან წაქცეული ხეა. სოფელში არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც არც სოციალური შემწეობა აქვთ და არც დამხმარე ყავთ ვინმე. საკრებულოს

წევრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, მიეცეთ უფლება მერის წარმომადგენლებს, რათა რაიმე გამარტივებული წესით შესაძლებელი გახდეს ასეთი ხეების ამ ადამიანებისთვის გადაცემა. ტრანპორტირებასაც თვითონ უზრუნველყოფენ და მიუტანენ ამ ხალხს ხეებს. საკრებულოს წევრი ასევე შეეხო წყლის პრობლემას და აღნიშნა, რომ სოფლის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერს მიაწოდა ამის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, ძალიან ბევრ ადგილზე მიწები არის დაზიანებული და წყალი შეფერხებით მიეწოდება მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ხეების გადაცემის საკითხი არ არის დიდი პრობლემა. საჭიროა განცხადება, რომელსაც შეისწავლის შესაბამისი სამსახური, დანომრავს ამ ხეებს და კომისიური წესით მოხდება გადაცემა. რაც შეეხება წყალს, ამ მხრივ გარკვეული პრობლემაა ლესაში და ჯურუყვეთში. საპროექტო სამსახურის მიერ, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა, პროექტი გაკეთდა და მოხდა მისი გადაგზავნა ექსპერტიზაზე შპს „რეალ ექსპერტი“-სთვის, რომელმაც დაიწუნა პროექტი, რდგან ხარვეზი დაუდგინა და უკან დააბრუნა. მეორედაც იგივე განმეორდა. ამჟამად ეს ხალხი წასულია ჯარიმაზე, მაგრამ მუნიციპალიტეტის თქმით, თანხა უკვე გამოყოფილია და სიტუაცია დროულად უნდა მოგვარდეს.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერმა ადგილზე დაათვალიერა ლესის ადმინისტრაციული შენობაში მშენებლობა, რაც ნამდვილად კარგი გამოდის. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, ადმინისტრაციულ შენობაში იატაკის დაგებასა და სკამების შეძენასთან დაკავშირებით.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო